ხელშეკრულება N 83
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ბათუმი 21 დეკემბერი 2020 წელი

ერთის მხრივ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო, წარმოდგენილი მინისტრის პირველი მოადგილის თორნიკე კუჭავას სახით, მოქმედი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2019 წლის 3 ივნისის №01-01-6/75 ბრძანებით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე (შემდგომში „შემსყიდველი“) და შპს „მარი-97“, წარმოდგენილი დირექტორის მინდობილი პირის იგნარი დიასამიძის სახით (მინდობილობა №190149571; 12.02.2019წ) (შემდგომში „მიმწოდებელი“), გამარტივებული შესყიდვის შედეგად „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის შესაბამისად, (კლასიფიკატორის კოდი - 24900000; 42100000; 44100000; 44500000) ვაფორმებთ წინამდებარე ხელშეკრულებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. შესყიდვის ობიექტია: სილიკონი - CPV24900000, , სიფონი - CPV42100000, საიზოლაციო ლენტი - CPV44100000, ხელსაწყოები და საკეტები - CPV44500000.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **840.50** ლარს.

#	დასახელება	განზ.	რაოდენობა	ერთ. ღირ	მთ. ღირ.	CPV კოდი
1	დაისონის გერმეტიკი შავი 280მლ	ცალი	5	10	50	24951120
2	გერმეტიკი "sista" aquar.sil 310მლ	ცალი	5	12	60	24951120
3	სილიკონი უნივერსალური გამჭვირვალე 280მლ	ცალი	5	6,50	32,50	24951120
4	შემავსებელი ქაფი STERN 850 მლ	ცალი	5	12	60	24951120
ჯამი					**202.50**	**24900000**
5	ხელსაბანის სიფონი 80CM	ცალი	5	3	15	42132000
6	რაკოვინის ონკანი მეტალის F-027W	ცალი	5	20	100	42131000
7	რაკოვინის ონკანი მეტალის R-456	ცალი	5	20	100	42131000
8	რაკოვინის ონკანი მეტალის W-005P	ცალი	1	25	25	42131000
9	რაკოვინის ონკანი მეტალის W-124	ცალი	1	25	25	42131000
ჯამი					**265**	**42100000**
10	Kettler-44542 დაწნული მილი F1/2xM10(80mm)x1 X 60CM	ცალი	24	5	120	44161000
ჯამი					**120**	**44100000**
	ბოქლომი 40MM	ცალი	4	4	16	44521210
	საჭრელი რგოლი 125*2	ცალი	16	2	32	44510000
	ბოქლომი TF-80MM	ცალი	1	12	12	44521210
	TOL622-55135 ბოქლომი 50MM	ცალი	1	5	5	44521210
	TOL620-55133 ბოქლომი 32MM	ცალი	1	3	3	44521210
	კარის საკეტის მექანიზმი 935R	ცალი	1	10	10	44522400
	კარის საკეტის მეხანიზმი 153U-25	ცალი	1	10	10	44522400
	კარის საკეტის მეხანიზმი 153U-20	ცალი	2	10	20	44522400
	კარის საკეტის მეხანიზმი 155U-20	ცალი	2	10	20	44522400
	კარის საკეტის მექანიზმი BA 153 P	ცალი	5	10	50	44522400
	კარის საკეტი JM-31	ცალი	3	25	75	44521100
ჯამი					**253**	**44500000**
	ჯამი				**840,50**	

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

3.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის შესაბამისი საგადასახადო (ფინანსური) დოკუმენტაციის საფუძველზე.

3.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ საგადასახადო (ფინანსური) დოკუმენტაციის გამოწერიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარების წესი

4.1. შემსყიდველი მხრიდან შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარებაზე პასუხისმგებელი პირია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის მატერიალურ ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი - შტატგარეშე მოსამსახურე - რეზო ქათამაძე.

4.2. საქონელი ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული სასაქონლო ზედნადების გაფორმების შემდეგ.

4.3. სასაქონლო ზედნადების გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო (ფინანსური) დოკუმენტაცია.

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა

5.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: ქ. ბათუმი, კომახიძის ქ. №119.

5.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

6.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.4. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს შესყიდვის ობიექტი იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშკრულების 5.2. პუნქტში.

7. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის გამო

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გაშვების შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.

7.2. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

8.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

8.5. მხარე ვალდებულია 8.4. პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

8.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

8.7. ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორი) თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლიარად, რომელთაგანაც თითოეული გადაეცემათ მხარეებს.

9. დაუძლეველი ძალა

9.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებებისშესრულების შეუძლებლობის შესახებ.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

10.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან 2021 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

12. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	*„მიმწოდებელი“*
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო	შპს „მარი-97“
ტელ: (422) 27-35-10	ტელ: 555 43-81-38
მისამართი: ქ. ბათუმი, მ. კომახიძის ქუჩა N119	მისამართი: ქ. ბათუმი, ა. პუშკინის ქ. № 156
	საბანკო რეკვიზიტები:
საიდენტიფიკაციო კოდი - 245429200	სს „თიბისი ბანკი“
	ბანკის კოდი - TBCBGE22
	ა/ნ – GE94TB7449836050100002
	საიდენტიფიკაციო კოდი - 445478251
მინისტრის პირველი მოადგილე:	დირექტორის მინდობილი პირი:
თორნიკე კუჭავა	იგნარი დიასამიძე